



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმედიის მუნიციპალიტეტის მერია



ბრძანება: **86. 86223645**

თარიღი: **30/12/2022**

ახმეტის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ -ის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ი“ ქვეპუნქტების, 85³ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „თ“ ქვეპუნქტების 85⁴ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-13 და მე-15 პუნქტების და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N 654 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ პირველი მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლს მე-7 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩევლს, მოწვეულ იქნას დასახლებების საერთო კრებები, ხოლო დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს 500 - ზე მეტ ამომრჩევლს, გაიმართოს ამომრჩევლებთან კონსულტაციები N1 დანართით განსაზღვრულ თარიღებში.

2. მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურს და მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში დაეველოთ მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება და მათი კონსულტირება საპროექტო წინადადებების შემუშავების პოცესში.

3. თითოეული დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განისაზღვროს N1 დანართის მიხედვით.

4. მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს ახმეტის მუნიციპალიტეტი მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლობებში ყოველდღე 09-დან 18 საათამდე, 2023 წლის 18 თებერვლის ჩათვლით.

5. დასახლებებში საერთო კრებების სხდომების და ამომრჩევლებთან

კონსულტაციების დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: დასახლებაში განსახორციელებელი საქართველოს რეგიონებში პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტ(ებ)ის შერჩევა.

6. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვრონ:

1) ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე იოსებ ქარუმაშვილი მობილურის N 591010151 ელ. ფოსტა: sosoqarumashvili@gmail.com

2) საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დავით ავაზაშვილი ტელ: 599 418998

3) საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ქიბროწაშვილი ტელ: 591010171 ელ. ფოსტა: giorgikibro@yahoo.com

4) საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გელა ონიაშვილი ტელ: 574 171110

5) მერის მოადგილე ვანო ნასყიდაშვილი მობილურის N 599857877 ელ. ფოსტა: vajanasvidashvili@gmail.com

6) მერიის წარმომადგენელთა საქმიანობის კოორდინაციის სამსახურის ხელმძღვანელი ბადრი ფილაშვილი მობილურის N 577523912 ელ. ფოსტა: badrifilashvili33@gmail.com

7) ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნიკოლოზ დეკანოზიშვილი, ტელ: 591257891, ელ-ფოსტა: infrastruqturaakhmeta@gmail.com

8) ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი კახაბერ ნაცვლიშვილი მობილურის N 568613775 ელ. ფოსტა: infrastruqturaakhmeta@gmail.com

9) ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მამუკა ხობობაშვილი მობილურის N 571323365 ელ. ფოსტა: infrastruqturaakhmeta@gmail.com

10) ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი დავით აბულაძე მობილურის N 577792111 ელ. ფოსტა: david.abula@gmail.com

11) ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საერთაშორისო პროექტების განყოფილების უფროსი ხათუნა ჯუგაშვილი ტელ: 555 450 029 ელ. ფოსტა: xatunajugashvili1@gmail.com

12. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულმა სამსახურმა უზრუნველყოს დაინტერესებულ მხარეთათვის ბრძანების ოფიციალური გაცნობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 58-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წესით;

13. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე; . ბრძანების გასაჩივრება შეიძლება კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახმეტის მაგისტრატ სასამართლოში (ქ. ახმეტა, ჭავჭავაძის ქ. №101).

ალექსი ფიცხელაური

ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

